



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 358

14/02/2018

ქალაქი ბათუმი

358-05-4-201802141118



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების შესრულების მონიტორინგის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს შრომის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის №01-21/ო ბრძანების და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების შესრულების მონიტორინგის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მადონა დავითაძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ლეილა დოლობერიძე - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სანიტარული ზედამხედველი. (ექიმი)

გ) როლანდ მიქელაძე - სპეციალისტი, ქიმიური რეაგირების დარგში;

დ) ნარგიზ ციმნარიძე - II კატეგორიის III რანგის უფროსი სპეციალისტი - განათლების, კულტურისა და ძველთა დაცვის საკითხებში - კომისიის მდივანი

2. ეთხოვოს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება:

ა) გურანდა დოლიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

3. დანართი N1 შესაბამისად 09 მარტამდე, დაევალოს კომისიას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის მონიტორინგი, ხოლო 23 მარტის ჩათვლით განხორციელებული მონიტორინგის შედეგები შეტანილ იქნეს სპეციალურად წარმოებულ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

